საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/93
13/01/2023

93-21-2-202301131256

შპს „ფერუს დეველოპემნტს“
მის: ქ.რუსთავი დუმბაძის გ.3
ელ. ფოსტა: v.mt@me.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6827 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, ილიას ტბის მიმდებარედ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი იქნა შენიშვნები, რომლის თანახმადაც ვინაიდან, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში ჩამდინარე წყლების ჩაშვება იგეგმება ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ „ილიას ტბაში“, რომელიც გამოიყენება სარეკრეაციო დანიშნულებით, ასევე ტბიდან ქალაქ ყვარელს ტექნიკური მიზნით მიეწოდება წყალი, ხოლო წყალჩაშვების შედეგად მოსალოდნელია ტბაში დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრა, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მხრიდან გამოთქმულია მოსაზრება ჩამდინარე წყლების მართვის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით დანართის სახით გიგზავნით, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს და მოსაზრებებს.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მითითებული წყალჩაშვების GPS კოორდინატები (X-565687 Y-4645417) არ ემთხვევა წარმოდგენილ Shp ფაილებში ასახულ წყალჩაშვების წერტილს. ასევე სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაბინძურებული წყლის გამწმენდ ნაგებობამდე და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე მიყვანის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ (მილების სიგრძის და დიამეტრის მითითებით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას წარმოდგენილ პროექტზე გასცეს სკრინინგის გადაწყვეტილება. სააგენტო

კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ტექსტის თანახმად.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო